რედაკცია

ოლღინსკის ქუჩაზე, ჰუაშანიძის თავ. შარვაშიძის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშემოთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроеба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე | „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე | „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილი ასოებით ... სტრიქონზე ნახევარი კაპ. ... ზე მეორედ კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ფერის-ცვალების გამო ხვალ, ხუთშაბათს გაზეთი არ გამოვა.

---

1 აგვისტოდამ წლის დამლევამდინ

## დროება

ღირს ოთხი მანეთი

## ივერია

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

---

## ტელეგრამმები

(ჩრდილოეთის სააგენტოსი)

ლონდონი, 3 აგვისტოს. ავღანელების ყანდაარში სამალყო სიმაგრეებს აშენებენ; ამბობენ თრი, ინგლისის ადგილერი ტყვე ჰყავს ეიუბსო.

პარიჟი, *La Verite*-ში დაბეჭდილია გამბეტტასს წერილი, რომელშიაც გამოთქმულია აზრი გენერალურ რჩევებისათვის უკანასკნელ არჩევანის თაობაზე; ავტორი აღვიარებს რომ ეს არჩევანი დემოკრატული იყო და ამბობს: შინაურს საქმეებში წროველის რესპუბლიკანურის სისტემის მოხმარება ხელ-ახლავ შეაძლებინებს საფრანგეთს თავის ძლიერების აღორძინებას, დაააკვებინებს დედა-მიწაზე თავის შესაფერს ადგილს და ჯგლავად დაასპატრონებს მისგან მაღლად გამოთხლეშილს პროვინციებს. თავის აღდგენილ ერთობას საფრანგეთი მოიხმარს ევროპის მშვიდობიანობის ქვა-კუთხედათ.

გუშინ პეტერბურღიდამ გავიდა ფინანსის მინისტრი გრეიგი, სანამ ის მობრუნდებოდეს მის მაგიერ აბუნგე იქნება.

---

### ბათუმის გუბერნატორის განცხადება

ტფილისი, 5 აგვისტოს.

ქვემოთ ვბეჭდავთ ბ. ბათუმის სამხედრო გუბერნატორის განცხადებას, რომელიც, როგორც გვწერენ, თითქმის ყველა იქაურ ქალაქებისა და სოფლების მეჩითების კარებზე არის აკრულიო.

დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ ჩვენ ეს განცხადება და, უეჭველია, რომ ყოველი ქართველი ჩვენი მკითხველიც ამავე სიამოვნებით წაიკითხავს.

მართლაც, ამ განცხადებაში თითქმის ყველა ის არის გამოთქმული, რაც ჩვენ არა-ერთხელ გამოგვითქვამს და გვინატრია ამ ახლად-შემოერთებულ ჩვენს მოძმეებზე. მიზანი განცხადებისა, როგორც ეტყობა ის არის, რომ გული დაუმშვიდოს და გადასახლების სურვილი მოუსპოს იმ მაჰმადიან ქართველებსა, რომელნიც, ჩვენდა სამწუხაროდ და იმათდა საუბედუროთ, სტოვებენ ამ ჟამად თავის სამშობლო მიწა-წყალს და ქვეყანას და მიდიან ოსმალეთში, სადაც იმათ შიმშილისა, წყურვილისა და ათას გვარ შეწუხების გარდა, სხვა არა სიკეთე არა მოელისთ-რა.

ბ. ბათუმის ღუბერნატორი უცხადებს თავის სამწყსო ხალხს, რომ რუსის მთავრობა ყოველს ღონისძიებით ცდილობს და ეცდებაო თქვენი მდგომარეობის, თქვენი ცხოვრების გაუმჯობესებას; გარდასახადი, რაც ოსმალის დროს, გედვათ, იმაზე ნაკლებს თუ არა მეტს არ გადაგახდევინებსთ რუსის მთავრობაო, და ღარიბი, „ფუხარა“ ხალხი კი სრულიად განთავისუფლებული იქნებაო ყოველ-გვარის გარდასახადისაგან. თქვენს, რჯულს სარწმუნოებას კაცი ვერ შეეხებაო, ათი მილიონი მაჰმადიანი სცხოვრებს თქვენს გარდა რუსეთშიო, მაგრამ ყველა თავისუფლად აღიარებს თავის სარწმუნოებასაო, ყველას უმართავს შკოლებს, რომლებშიაც იმამები და მოლლები მაჰმადის რჯულის წესს ასწავლისო; ვერ შეეხება აგრეთვე ვერავინ თქვენს შინაურ ცხოვრებას, თქვენ ქალებს არავისაგან არ მოელის შეურაც-ყოფა და თუ ვინმე ვაბედავს, კანონი სასტიკად დასჯისო; ზოგიერთ-გვარ საქმეების გასარჩევად და სამართლის გარდასაწყვეტად თქვენ თქვენი მეჯლისი (სასამართლო) გაქვთო და სხვა საქმეებს კი რუსის სასამართლო გაარჩევსო. დამოჟნის ბაჟს მართალია მთავრობა ვერ მოსპობსო, რადგანაც „უცხო ქვეყნიდამ შემოსული საქონელი ხალხს დაალარიბებსო,“ მაგრამ ეცდებაო, რომ აქარუს ხალხს ეს გარდასახადი შეუმსუბუქოსო; კაცის კვლისა და შურის-ძიებისათვის კანონი სასტიკად დასჯისო, და თუ რომელიმე სოფელი განჩინებას შეადგენსო, რომ ესა-და-ეს კაცი „გონჯი“ კაცია, ქურდი ან ავაზაკი, ამ კაცს მთავრობა შორს ქვეყანაში გადაასახლებსო. რუსის მთავრობა ადგილობრივ და რუსის ჩინოვნიკებს შუა გარჩევას არ ჰხედავსო: ამის გამო რამდენიმე თქვენებური კაცი უჩასტკის ნაჩალნიკებად დაინიშნა, სალდათს, როგორც საქართველოში და კავკასიაში არ მიჰყავს მთავრობას, ისე არც თქვენგან გაიყვანოსო, მხოლოდ წესიერებისა და სამშობლო მხრის დასაცველად მილიციონერებად გამოხვალთო, რადგან „ყოველი კაცის ზნეობითი მოვალეობა არისო, რომ თავის ქვეყანა და მიწა-წყალი დაიცვას მტრისაგანაო“ და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, როცა მკითხველი ამ განცხადებას გადაიკითხავს, დარწმუნდება, რომ იმაში კარგის, ტკბილის სიტყვით მოყვანილი და ჩამოთვლილია ყველაფერი, რაც კი ადმინისტრაციას შეეხება და რითაც შეიძლება ხალხის დამშვიდება, გამხნევება და იმედის მიცემა.

ჩვენ, ჩვენის მხრით, მხოლოდ ერთი-ღა დაგვრჩენია: ვისურვოთ, რომ ბ. ბათუმის ღუბერნატორს ყველაფერი ბეჯითად და უნაკლულოდ შეესრულებინოს, რასაც კი ამ განცხადებით ხალხს ჰპირდება და აღუთქვამს. თუ ეს ჩვენი სურვილი ახდა, მაშინ, უეჭველია, უნდა მოველოდეთ, რომ მეორე სურვილიც ასრულდება: რომ ეს ხალხი მამა-პაპეულ ადგილზე, მიწა-წყალზე დარჩეს, არ გარდაიხვეწოს ოსმალეთში, სადაც იმას სილატაკე, წვალება და ვინ იცის იქნება შიმშილითაც სიკვდილი მოელის...

---

აი ის განცხადება ბ. ბათუმის ღუბერნატორისა, რომელზედაც ზევით წინა სტატიაში არის სჯა:

„ზოგიერთი ბათუმის სანჯახის ფუ-

---

## ფელტონი

### ავაზაკი კვასტანა

ალფონს დოდეს მოთხრობა

(ნათარგმნი)

I

— ეშმაკმა კი წაიღოს ის მშვენიერი ჩვენგან მოშორებული მაზრები! მითხრა ერთხელ ბარონ ბურდემ: —იქ სუყველაფერი ჰიბრეულად მიდის და თუ უფროსი თავიანთებური არა ჰყავთ ყოველთვის უსიამოვნებასაც მოგაყენებენ ხოლმე. მე რო მწერალი ვყოფილიყავ, მთელ წიგნს შევადგენდი იმ ათასნაირ უბედურებაზე, რაც გადამხდა სამი წლის განმაველობაში, როცა კორსიკასი პრეფექტთან ვმსახურობდი. აი, ერთხელ რა მომივიდა, ეს შემთხვევა სწორეთ გასართობი და სასაცილოა.

ის იყო ახალი მოსული ვიყავ. მოსვენებით ვიჯექ კლუბში და დიდი სიამოვნებით ვკითხულობ ახალ პარიჟულ გაზეთებს, როცა მოულოდნელად გადმომცეს პრეფექტის ბარათი, რომელშიაც კარანდაშით სიჩქაროთ იყო დაწერილი შემდეგი:

„ჩქარა მოდით... საჭირო ხართ... ავაზაკი კვასტანა დავიჭირეთ“.

სიხარულით ერთი კი დავიყვირე და გავიქეც პრეფექტთან. აქ უნდა მოგახსენოთ, რო იმ დროს საფრანგეთს ხელმწიფე ჰყავნდა და მაშინ დიდი საქმე იყო ავაზაკის დაჭერა. სასახლეში შემოიღეს რომანების კითხვა, საცა გამოყვანილნი იყვნენ გმირათ ავაზაკები. იმ პრეფექტს უფრო ადვილად ეღირსებოდა უმაღლესი ალაგი, რომელიც მეტის ხერხით და ცბიერებით დაიჭერდა ავაზაკს და სარიშანოთ გახდიდა საქმეს.

საუბედუროთ ამ უკანასკნელ წელიწადებში ავაზაკების რიცხვი დამცირდა. კორსიკასაც მოეფინა განათლება და დღე-დღეზე ჰქრებოდნენ შურის მძიებლები და თუნდ გამოჩენილიყო თითო-ოროლა, რომელიც ვერ შეიმაგრებდა აღელვებულ სისხლს და დაიწყებდა ხანჯლის ტრიალს, იმას ადვილად შეეძლო თავი შეეფარებინა რომელიმე ახლო კუნძულზე ან იქვე კორსიკის ბუჩქებში და ტყეებში. ეს ამბავი ჩვენ პრეფექტს სრულებით არ მოსწონდა, თუ ავაზაკს არ დაიჭერდა სიზმარშიაც ვერა ნახავდა უმაღლეს ალაგს. მაინც და მაინც ბევრი ძებნის შემდეგ ეტყობოდა აისრულა თავის გულის წადილი, ხელში ჩაიგდო ერთი ძველი ავაზაკი, სახელათ კვასტანა.

ამ ავაზაკმა თავის ძმის სიკვდილი გადიხადა იმითი, რომ ამოჟლიტა რამდენიმე ოჯახობა. ეს იყო ძველი ამბავი, მოხდა 1840 და 1842 წელს. მას აქეთ კვასტანა იმალებოდა. ჯერ გაავთრებული დასდევდნენ, მერე კი სრულებით დაივიწყეს. თითონ კი ყოველთვის ფრთხილათ იყო და როცა, თუთხმეტი წლის შემდეგ, კიდევ მოჰყვნენ იმის უკან დევნას, მაინც ვერას გახდნენ.

ამ გვარათ ავაზაკის და ადმინისტრაციის შუა ყოველ საათს, ყოველ წუთს უბოლოვო ბრძოლა იმართებოდა. ჩვენ მხარეს იყვნენ მხედრები, ჟანდარმები და ტელეგრაფი, კვასტანას მხარეს კი მწყემსები, მენახშირეები და აქაური ხშირი და თვალ გაუწვდენელი ბუჩქები, საცა მარტო გარეულ ფრინველებს ჰქონდათ ბინა. ჩვენ თითქმის იმედი გვქონდა დაკარ-

ხარა და აღიები ტყუილს ხმებს აპყვიან და ლაპარაკობენ, რუსის მთავრობა ჩვენს საკუთარს მიწა-წყალს და სამართალს წაგვართმევსო, რომელიც ოსმალოს დროს გვქონიაო. ამისთანა ტყუილი ხაბარით და ამბით შეშინებული ხალხი ამდგარა, დაუგდია ოხრათ თავის სახლ-კარი და ემზადება მუხაჯირათ წასვლას ოსმალეთში. საწყლებმა ის კი არ იციან, რომ იქ იმათ მიელის დიდი მწუხარება, შიმშილი, წყურვილი და ცოლ-შვილის სიკვდილი. ამისთანა გონჯი ხაბარის და ამბების გასამტყუნებლად ჩვენ გვინდა გამოვუცხადოთ ხალხს მთავრობის კეთილი აზრი და სურვილი:

„1) ვერც მუსულმანის დინს, სარწმუნოებას, ვერც მუსულმანის ოჯახობას და იმის ჩვეულებას ვერავინ ვერ შეეხება; მაგრამ ყანი, სისხლის გადახდა კი უნდა მოიშალოს. კაცის მოკვლა დიდი ცოდვაა და არავის ნება არა აქვს, მტერობით კაცი მოჰკლას. ვისაც დუშმანი და მტერი ჰყავს, იმან სამართალში უნდა იჩივლოს და დუშმანს სამართალი დასჯის დანაშაულობისათვის. მუსულმანის ქალებს ვერავინ ცუდს რასმეს ვერ ჰკადრებს. რუსის კანონი ითხოვს, რომ თვითონ მუსულმანები მუდამ პატივს სცემდენ და უვლიდენ თავის ქალებს ისე, როგორც ყორანში სწერია. კანონი არავის არ მისცემს ნებას, რომ ქალს უპატიურათ მოექცენ. ყოველს ქალს ნება აქვს სამართალში იჩივლოს, თუ უპატიურობა მიაყენეს რამე თავის ქმრის ან მამის ოჯახში, და იმედიც უნდა ჰქონდეს, რომ სამართალი იმისკენ იქნება.

„2) ცოლმა თუ უჩივლა ქმარსა, ან ქმარმა ცოლს, შვილმა მამას, ან მამამ შვილს, ხისიმმა ხისიმს, ან თუ ქვრივ-ობლის საქმე იქმნა, ან მემკვიდრეობაზე საჩივარი ატყდა, ყველა ამ გვარი საქმეები განიხილება და გადაწყდება მეჯლიშში, მუსულმანის კანონის ძალით, ისე, როგორც ყორანში სწერია, ან როგორც შარიატი ამბობს.

„3 რაც ოსმალოს დროს თახშირი და სახელმწიფო გადასახადი იყო, იმაზე მეტი არ გადახდება. მაგრამ ყველას რომ იმის გადახდა გაუადვილდეს, თახშირს ფულზედ გადასჭრიან. თახშირს აიღებენ სამართლიანად, მდიდარს ქვეყანაში მეტს აიღებენ, ღარიბს ქვეყანაში ნაკლებს; მაგრამ ყოველს შემთხვევაში ოსმალოს დროს რომ თახშირი იყო, აწ იმაზე ნაკლები იქნება. ღარიბს მდიდარზე ნაკლები თახშირი გადახდება; ძალიან ღარიბს, ფუხარას სულ არა გადაედება-რა.

„4) რაც სოფლების და მემლექეთების ხელში ტყეებია, ისინი ისევ იმათ დარჩებათ. ტყეების სარგებლობა, როგორც ოსმალეთის დროს ყოფილა, ისევ იმ წესზე და კანონზე დარჩება. დანარჩენი ტყეები, რომელნიც ოსმალეთის დროს ხვანთქრის ყოფილა, სახელმწიფოთ დარჩება და მთავრობა ყარაულებს დააყენებს, რომ ტყე უბრალოთ არავინ მოჭრას და არ წაახდინოს. ვისაც ამისთანა ტყეებიდან ხის, ძელის გატანა სურს, იმას ტყის თახშირი გადახდება და ბილეთი მიეცემა ტყის მოსაჭრელად.

„5) რუსის მთავრობას, როგორც საქართველოში და კავკასიაში არ გამოჰყავს ნიზამი, სალდათი, ისე არც აქ გამოიყვანს; მაგრამ სახელმწიფო სამსახურისთვის და წესიერების დასაცველად რუსის მთავრობა გამოიყვანს მილიციას და ჯამაგირს დაუნიშნავს, როგორც საქართველოში და კავკასიის მხარეზეა. თავის ქვეყნის დაცვა მტრის წინააღმდეგ ყოველი კაცის ვალია და, რასაკვირველია, ბათუმის სანჯახის მუსულმანებისათვისაც ეს საქმე ძვირფასი და წმინდა მოვალეობაა.

„6) მეჩითებთან და ჯამებთან მედრესეები უნდა გაიმართოს და იმამებმა ყმაწვილებს მუსულმანის სჯული და წერა-კითხვა უნდა ასწავლონ, როგორც ოსმალოს დროს ყოფილა. რუსის მთავრობა მედრესებს შეეწევა და თავის მფარველობას არ მოაკლებს. რუსის მთავრობაც გამართავს თავის შკოლებს, მაგრამ ძალით არავის არ წაიყვანს ამ შკოლაში. და თუ ვინმე მუსულმანმა ისურვა შვილის შეყვანა ამ შკოლაში, ან ობლის, ეთიმის, პატრონმა ობლის გაზდა, იმათ უნდა სთხოვონ მთავრობას და ის ნებას მისცემს, რომ ყმაწვილები მიიღონ შკოლებში. მუსულმანის შვილებს ამისთანა შკოლებში ეყოლებათ თავისი იმამები, რომელნიც ასწავლიან იმათ მუსულმანის სჯულზე წერა-კითხვას. მოლლებს, მუფტებს და იმამებს იმედი უნდა ჰქონდესთ, რომ რუსის მთავრობა შეეწევა იმათ და თავის მოწყალებას არ მოაკლებს, როგორც არ აკლებს სხვა სარწმუნოების სასულიერო წოდებას. რუსის მთავრობას უწინაც ჰყავდა ათი მილიონი მუსულმანი, რომელთა მოლლები, იმამები და მუფტიები მთავრობის მოწყალებით ცხოვრობენ და კეთილ-დღეობაში არიან.

„7) დაპოჭნას მთავრობა ვერ მოშლის ამისთვის რომ ეშინია უცხო ქვეყნის ვაჭრობამ ხალხი არ გააღარიბოს; მაგრამ ყოველ ღონის-ძიებით კი ეცდება, რომ ხალხს გაუადვილოს იმდენი საქონლის გატანა ბათუმიდან, რაც თავის სახლისთვის და მკვიდრისათვის დასჭირდება.

„8) სანამდის ბერლინის კონგრესით დადებული ვადა გადასახლებისა არ გავა, მანამდის მუსულმანებს, შეუძლიათ თავისუფლათ გადასახლება ოსმალეთში. იმათ შეუძლიათ გაჰყიდონ თავის სახლ-კარი და ნივთები; მაგრამ ადგილ-მამულს ვერ გაჰყიდიან; მოაჯირს შეუძლია მარტო მიულკის გაყიდვა, თუ ოსმალოსაგან ბოძებული თაფი აქვს. ბერლინის კონგრესის დადებული ვადა რომ გავა, იმის შემდეგაც შეუძლია თითო-თითოთ თითეულს სახლობას ოსმალეთში გასვლა; მაგრამ ამისთვის პასპორტი უნდა აიღოს.

„9) ფირალებს და მქურდევებს რუსის კანონი ფიცხათ სჯის; მაგრამ საჭიროა, რომ მართალი მოწმები და ცხადი საბუთები წარუდგინონ სასამართლოს და თუ ნამდვილათ დამტკიცდება იმისი დანაშაულობა, კანონი და ზაკონი ძალიან ფიცხათ დასჯის. თვითონ მთავრობა ეცდება, რომ ფირალის გამამტყუნებელი საბუთები შეკრიბოს და მერმე შეუბრალებლათ დასაჯოს.

„რუსის მთავრობას კიდევ სხვა უფრო ფიცხელი ღონის-ძიება აქვს ფირალის დასასჯელათ: იმას შეუძლია უკეთ მოაშოროს ცუდი, გონჯი კაცი სოფელს და მემლექეთს; მაგრამ ამის გულისთვის სოფელმა და მემლექეთმა თვითონ უნდა შეადგინონ ქაღალდზე თავისი გადაწყვეტილება და მუხურების დასმით ან ხელის-მოწერით უნდა სთხოვონ მთავრობას, ეს და ეს გონჯი კაცი ან ფირალი მოგვაშორეო. ქაღალდზე შედგენილს გარდაწყვეტილებაზე ორს მესამედს მცხოვრებლებისას უნდა ჰქონდეს ხელი მოწერილი. ამას შემდეგ იმათგან დასახელებულს ცუდს და გონჯს კაცებს მთავრობა უცბათ გადაასახლებს შორს ქვეყნებში ან საუკუნოთ, ან დიდი ხნით. თვითონ სოფელს და მემლექეთს ნება აქვთ დაიჭირონ გონჯი კაცები და მერე შეუდგინონ გადაწყვეტილება იმათ დასაკარგავათ; დაჭერის უმალაც შეუძლიათ მცხოვრებლებს შეადგინონ ქაღალდზე გადაწყვეტილება; მერმე მთავრობაც შეეწევა იმათ დასაჭერათ.

„10). რუსის მთავრობა დანიშნავს სამსახურში აქაურს მცხოვრებლებს, ვინც ღირსი იქნება, არამც თუ მარტო ზაფტიებათ, უჩასტკის ნაჩალნიკებათაც. რუსის მთავრობა იმდენათ გულ-დანდობილია აქაურ მუსულმანებზე, რომ იმათგან მილიციაც შეადგინა და უჩასტკის ნაჩალნიკებიც დანიშნა აილუღებით, ჯამაგირებით; მაგალითათ ტუფან-ბეგი განაწესა ქვედა-აჭარაში, ახმედ-ბეგი ართვინის უჩასტკაში და ნური-ბეგი ხიმშიაშვილი შავშეთსა და იმერხევის უჩასტკაში.

„11), ბათუმის მაზრის უფროსი მისწერს ყველა ოკრუგებისა და უჩასტკების ნაჩალნიკებს, რომ ისინი

გული და ამიტომაც თქვენ თითონ მიხვდებით, როგორ გამიხარდებოდა, ბარათში რო წავიკითხე შემდეგი სიტყვები: „ავაზაკი კვასტანა დავიჭირეთო“.

პრეფექტთან რო შეველ, ვნახე ის მარტოთ-მარტო ელაპარაკებოდა ერთ დაბალ ტანის კაცს, რომელიც თვალათ რიგიანი სჩნდა, თუმცა დიდი წვერი ბევრათ მალავდა იმის სახეს. ეს ნამდვილი კორსიკელი სოფლელი იყო; თავზე ეხურა რაღაც მატყლის ქუდი, ეცვა მოკლე ტყაპუჭი და ქამარზე ჩამოკიდებული ჰქონდა დიდი მაგრატელი, რომლითაც ჰკუწავდა ხელის გულზე დიდ მწვანე თამბაქოს ფოთლებს.

— ეს კვასტანას ბიძაშვილია, მითხრა დაბალის ხმით პრეფექტმა.—დღეს ერთ პატარა სოფელს სოლენცარას, პორტო-ვეკკიოს გვერდით, და ყოველ კვირაობით ავაზაკი მოდის ხოლმე ამასთან ქაღალდის სათამაშოთ. ეტყობა ამ დღეებში, თამაშობის დროს წაჩხუბულან და ეს საძაგელიც მტრობით აპირებს გასცეს თავისი ბიძა-შვილი. ვატყობ არა სტყუის, სიწრფელით ამბობს. მე თითონ მინდა ეგ ავაზაკი დიდი ამბით დავაჭერინო, ამიტომაც საჭიროა ვიხმაროთ სიფრთხილე, რომ საქმე ჩვენდა სასირცხვილოთ არ ჩაიშალოს. თქვენი იმედი მაქვს, ბარონო. ახალ მოსული ბძანდებით ამ ქვეყანაში და არავინ არ გიცნობთ; მომინდვია თქვენთვის, შეიტყეთ სწორეთ, ნამდვილათ—ის კაცი, რომელიც კვირაობით მოდის ამასთან, ავაზაკი კვასტანა არის, თუ სხვა ვინმე?

— მე რომ ჩემ დღეში არ მინახავს კვასტანა?

პრეფექტმა ქაღალდებიდან ამოიღო ფოტოგრაფიული სურათი მზისაგან გახუნებული.

— აი, შეხედეთ! როგორი გაუფთხილებელია, შარშან გადუღია ქალაქ პორტო-ვეკკიოს.

ვიდრე ჩვენ ვსინჯავდით ავაზაკის წმინდა პირი-სახეს და ჭკვიან თვალებს, კორსიკელი მოგვიახლოვდა და დაგვიწყო ქვეშ-ქვეშა ცქერა: ხან გადმოგვხედავდა ცეცხლივით ანთებულ თვალებით, ხან ცივათ, გულ-გრილათ უკან დაიწევდა.

— შენმა ბიძაშვილმა რო დაინახოს უცხო კაცი, მომავალ კვირას ხომ აღარ მოვა? ვკითხეთ ჩვენ.

— მოვა, მოგვიგო იმან დინჯათ,— კვასტანას ძალიან უყვარს ქაღალდის თამაშობა; ჩვენ სოფელში ყოველ დღე სულ სხვა-და-სხვა ხალხი ირევა, რადგან რკინის ქარხანა ახლოა. მე იმას ვეტყვი, რო ერთი ნაცნობი ჩამოხტა ჩემთან და მეორე დღეს სანადიროთ ერთათ უნდა წავიდეთ-თქო. ეხლა ასლი დროა შაშვზე სანადიროთ.

პირობა შევკარით, რო სოფლის სასტუმროში უნდა შევხვედროდით ერთმანერთს. გულ-დინჯათ გამოგვესალმა, სულ არ ეტყობოდა, რო თავის ნათესავს ხელში მტერს უგდებს.

იმის წასვლის შემდეგ პრეფექტმა დამარიგა დაწვრილებით — როგორ უნდა წამეყვანა საქმე.

— უმთავრესი ჩემი თხოვნა ის არის, მითხრა იმან,—რო არავის არ შეატყობინოთ ეს ამბავი. ეს ისეთი ქვეყანაა, რომ, თუ შეიტყეს, უეჭველია, წაგვეცილებიან და მე არ მინდა, ვინმემ, თქვენ გარდა, მონაწილეობა მიიღოს ამ ავაზაკის დაჭერაში.

დიდი მადლობა უთხრა ამისთანა

ტკბილათ ექცეოდენ ხალხს და ყურადღებით მოუსმენდენ ყოველს იმათს თხოვნას და გაჭირებას; იმათ უნდა შეატყობინონ ყოველივე ხალხის თხოვნა და გაჭირება ბათუმის ღუბერნატორ-ფაშას, რომ იმან იშვამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან და დააკმაყოფილოს ხალხის სამართლიანი თხოვნა.

„ყოველივე, რაც ზემოთ მოხსენებულია, უნდა გამოცხადდეს აჭარალივანაში, შავშეთ-იმერხევში და მურღულში იმ აზრით, რომ ხალხმა აღარ დაუჯეროს ცუდს კაცებს, რომელნიც ატყუებენ ვითომც ხალხს მოელოდეს სხვა და სხვა გაჭირვება და შეწუხება რუსის მთავრობისაგან.

ბათუმის მაზრის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-მაიორი **კომაროვი**

კანცელარიის მმართველი **დემენტიევი**

---

## ახალი ამბები

—

ჩვენ შევიტყვეთ შემდეგი სასიამოვნო ამბავი:

ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს ნება-რთვა მიუცია ქალბ. ბაბაშვილისათვის ქართულ ყოველ-თვიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალის გამოცემისათვის, რომელსაც ერქმევა **„საქართველოს მიმოხილვა“**. ჟურნალი მომავალი წლის პირველ იანვრიდამ გამოვა, ეღირება წელიწადში 8 მან.

ჩვენი გულითადი თანაგრძნობა გვიძღვნია ამ ჟურნალის გამომცემლისათვის და სულით და გულით ვისურვებთ რომ მას ღირსეულად შეესრულებინოს ის ყოვლად საპატიო, მაგრამ მძიმე ტვირთი, რომელიც მას უკისრნია.

*
* *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩვენი მომღერალი ბ. ქორიძე პალმს მიუწვევია თავის რუსულ ოპერის ტრუპპაში; როგორც ამბობენ, თვეში ორმოც თუმნად. დებიუტი (პირველი გამოსვლა სცენაზე) ბ. ქორიძისა ამ თვის 15-ს იქნება.

*
* *

ქიზიყიდამ გვწერენ, რომ, როგორც ეტყობა, ერთი და ორი არ ყოფილა მგელ-კაცა ჩვენკენაო, არამედ რამდენიმეო; ერთი მოკლესო, მაგრამ ახლაც თითქმის ისე დღე არ გაივლისო, რომ ერთი ვაჟკაცი ანუ ყმაწვილი არ იქსჰვერპლოსო. ზოგი ამ საშინელ მხეცს თურმე „ფოცხვერს“ ეძახის.

*
* *

ამ ორი-სამი წლის წინათ აქაურს გაზეთებში ბევრს რასმე იწერებოდნენ იმ უწესოებაზე და ბოროტ-მოქმედებაზე, რომელსაც ზოგიერთი პირები (და განსაკუთრებით ზემლემერი მარდანოვი) სჩადიოდა წალკის მხრისაკენ, სადაც სახელმწიფო მიწები ურიგდებოდა იქაურ ბერძნებსა და სომხებს.

ამ საგნის შესახებ, როგორც გაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, სახელმწიფო ქონებათა გამგეობას კომმისია დაუნიშნავს, რომელმაც უნდა განიხილოს ეს საქმე და უფრო სამართლიანად გაათავოს მიწა-წყლის განაწილება წალკაში. კომმისიას შეადგენენ აგრონომი ხოჯაევი, ზემლემერები ავალიანი და კოტოვიჩი და თავსმჯდომარე მოროზი. „კავკაზს“ სრული იმედი აქვს, რომ ეს კომმისია კეთილ-სინიდისიანად გაათავებს ამ დახლართულ საქმესა.

*
* *

რუსული გაზეთები ამბობენ, რომ ამ მოკლე ხანში მთელს რუსეთის იმპერიაში ექვსი საპატიმრო ციხე უნდა გაიმართოს სრულებით ახალს წესზედ 3,600 კაცისთვის. ერთი ამ ციხეთაგანი კავკასიის აქეთა მხარეში გაიმართებაო.

*
* *

17 ივლისს ზემო-ქართლში რამდენსამე ალაგს სეტყვა მოსულა. შესანიშნავი ეს არის, რომ სადაც კი სოფლები უფრო გაშლილ მინდორზედ არიან და ტყეები არა აქვთ ახლო, იქ სეტყვა უფრო მსხვილი ყოფილა და ზიანიც ბევრი მიუცია ვენახებისა და ხეხილისათვის; ხეობებში კი, მეტადრე იმისთანა ხეობებში, რომელთაც გარეშემო ტყეები ახვევიათ, სეტყვა ან სრულებით არა ყოფილა, ან თუ ყოფილა ძალიან წვრილი სეტყვა — ხოშკაკალა და დაკლებით თითქმის ვერაფერი დაუკლია.

*
* *

სოფ. მძოვრეთში, საცხიანოში ამ ორის კვირის წინათ შემდეგი ამბავი მომხდარა: ერთს ოსს ქალი ყოლოდა ოსურის წესით გათხოვილი და „ურატიც“ აღებული, მაგრამ მეორეს ოსს მეტი ურატი შეეძლია. მეორე ურატის აღების ხარბობით მამას თავისი ქალი პირველი სიძისათვის წაერთმია და ხელ-ახლად გაეთხოვებინა; მაგრამ პირველს სიძეს ეს არ მოუთმენია და მოუკლავს თავისი სიმამრი...

*
* *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ქუთაისში წიგნის მაღაზიის პატრონს პ. ფ. ზერარდს შეუამხანაგებია ბატ. ი. და ვ. ჭილაძენი და ამიერიდამ ერთად მმართვენ ამ მაღაზიის საქმესო. ქუთათურების და საზოგადოთ იმერეთის ხალხის კითხვის სურვილის დასაკმაყოფილებლად ისინი შეჰკვრიან პირობით თფილისელ გამომცემლებს და ქართულ წიგნის მაღაზიას, რომ რა კი ახალი წიგნი გამოვა, იმ წამშივე გაუგზავნონ იმათ ქუთაისში.

თუ ხეირიანად წაიყვანენ ამ მაღაზიის გამგეობის საქმეს უეჭველია, რომ იქაური საზოგადოება კარგად მოუწყობს ხელს წიგნების გასავრცელებლად.

ძალიან კარგს იზამს ბატ. ზერარდი და ამხ., რომ იმერეთის, სხვა და სხვა ქალაქებში და დაბებში მაგ. ოზურგეთში, ფოთში, ორპირში და სხვაგან აიჩენდეს აგენტებს; ამით ის, რასაკვირველია, უფრო კარგარგად წაიყვანს თავის საქმესაც და ადგილობრივი მკითხველი საზოგადოებაც უფრო მადლობელი იქმნება მისი.

*
* *

ბორიდამ გვწერენ:

„ჩვენს მაზრაში ამ ჟამათ ხშირად ლაპარაკობენ, რომ ძლივს ეშველაო დუშეთის ხალხსა მომრიგებელი შუამავლის თ. ზ. ე — თვისაგანაო, გადაყენებითო, რადგანაც ეს [illegible] თითქმის არაფერს აკეთებდაო და ორას თუმანს ჯამაგირს კი იღებდაო; მისი მოადგილე სულ სხვა კაცსა გავსო და ვნახოთ რა იქმნებაო“.

„კარგია, რომ ჩვენ მომრიგებელ შუამავლებსაც მოუვიდეთ ბძანება წელიწადში ერთხელ მაინც დაიარონ ხოლმე თავიანთი მაზრა და იკითხონ საჩივარი ან საქმე ხომ არავისა აქვს, ანუ ხომ არავინ არის მსურველი ნადელის საქმის გათავებისა? მე მგონია ერთიცა და მეორეც აღმოჩნდეს და თუ ახლა არა სჩანან იმისათვის, რომ მომრიგებელ შუამავალთან მისვლა უძნელდებათ, მით უფრო რომ არა აქვთ იმედი მათი სახლში ნახვისა.“

*
* *

იქიდამვე გვწერენ:

„ბორში ძრიელ დიდი გაჭირვება ადგიათ გლეხებს პარომზედ ურმების გადატანის დროს და როდესაც სამოქალაქო ურმები დაიწყობენ სიარულსა, მაშინ რაღა იქნება? საფიქრებელია, რომ ეს პარომი მალე გატყდეს. მაგრამ ბორელები ამაზედ ყურსაც არ იბერტყენო.

*
* *

ცხინვალის მხარიდამ გვწერენ:

„აქამდინ ვისაც უნდოდა მუხის ხის მასალა, მიდიოდა ცხინვალში სომხებთან და ურიებთან (დღემდინ მეტს არავის ჰქონდა ხის მასალა) და, რადგანც ესენი ერთ პირზედ იდგნენ, უნებლიეთ ან ძალიან ძვირათ ყიდულობდა და ან ცარიელი უკან ბრუნდებოდა. ახლა სოფ. ერგნეთში, რომელიც ზედ ცხინვალს აკრავს ერთს მებატონეს გაუმართავს ყოველ ნაირი მუხის მასალის საწყობი, და ცხინვალის ფასებზედ დაშორებით იაფათ ჰყიდის. მყიდველს თუ თავისი ურემი არ ექმნება, თვითონ გადაუტანს ფასით სადაც დაუნიშნენ. რაც მასალა არ ექმნება, შეუძლიანთ მსურველთა შეუკვეთონ ამ მებატონეს, და დანიშნულს დროს მიიღებენ“.

*
* *

ოზურგეთიდამ გვწერენ:

არაფერი უბედურება — არც გადაწ-

---

ნდობისათვის და სიტყვა მივეც, რომ ხმას არავისთან არ ამოვიღებ.

გამოვესალმეთ ერთმანერთს დიდი იმედებით; იმას ეგონა კიდეც თავის თავი წევრათ სახელმწიფო რჩევაში და მეც პრეფექტის თანაშემწეთ მოსვენებით სადმე პარიჟის ახლო.

მეორე დილას სანადიროთ მორთული ჩავჯექ იმ დილიჟანსში, რომელსაც უნდა გაევლო თითქმის მთელი კორსიკის კუნძული და სოფელ სოლენცარასაც უნდა მისულიყო.

ვისაც ბუნება უყვარს, იმისთვის ამისთანა მოგზაურობა ძალიან სასიამოვნოა და გასართობი. თვალ-წინ სხვა-და-სხვა სურათებია და სანახავები: ხან მოჩანს ალაგები ზეთის-ხილით სავსე, ხან თვალ-გადუწვდენელი ფიჭვის ტყე, ხან თოვლით მოფენილი მთები, რომლის ძირს ხარობენ ფორთოხლის ხეები. ზოგჯერ გზა შეუხვევდა ერთ-ერთ ციცაბს, საიდანაც უცბათ გამოჩნდებოდა მოულოდნელი სანახავი: დაუბოლოებელი ზღვა შეერთებული ლაჟვარდ ცასთან და გემის თეთრი ტილოს ფრიალი.

ჩვენისთანა სამსახურის კაცებს თვალში არც კი მოგვდის ამისთანა უმნიშვნელო სანახავები; უნდა სწორეთ ვთქვა, რო ოცნებებმა ისე გამიტაცეს, თითქმის მთელი გზა თვალებდახუჭული გავიარე.

ქალაქ ბონიფაჩიოს გადმოვხტით საუზმის საჭმელათ; აქაურმა ძველმა ღვინომ ცოტა არ იყო შემახურა. როცა დილიჟანსში დავბრუნდი, იქ დამხვდა ერთი ახალი მგზავრი, რომელიც მენახა რამდენჯერმე პრეფექტთან წვეულობაში. ეს იყო პროკურორის თანაშემწე, უცხო ყმაწვილი კაცი; თითქმის ტოლები ვიყავით, ჩემსავით პარიჟიდამ მოსული და დიდი თავ-მოყვარე. საძაგელმა შემდეგში დამიმტკიცა თავის თავ-მოყვარეობა.

მოგეხსენებათ, რო სასამართლო და ადმინისტრაცია ერთათ ვერსად ვერ თავსდებიან. კორსიკაში ყოველთვის შფოთი იყო იმათ შუა. ადმინისტრაცია იმყოფებოდა ქალაქ აიაჩჩიოს და მსაჯულები კი თავიანთ სასამართლოებით ქალაქ ბასტიოს. ეს ქალაქები ერთმანერთს ეცილებოდნენ და ამითი უმატებდნენ აყალმაყალს ჩვენს შუა.

მაგრამ. როცა ორი პარიჟელი შეხვდებიან ერთმანერთს სადმე გადაკარგულ ალაგს, მოშორებით სამშობლოსაგან, მაშინ ყურადღებას არ აძლევენ ალაგობრივ ჩხუბს, ადვილათ ივიწყებენ საცა იმყოფებიან და აღტაცებით იგონებენ თავიანთ ძვირფასს სამშობლოს. აბა რა გასაკვირველია, რო მე და პროკურორის თანაშემწე დავმეგობრდით. ღვინომ ამაჰკვკია, სუყველაფერი მათქმევინა; ისიც კი არ დავმალე, რო კვასტანას საქმის გამო, იმედი მაქვს მალე დავბრუნდე საფრანგეთში.

ერთის სიტყვით, სუყველაფერი ვუამბე და პირობა ჩამოვართვი არავის არ უთხრას.

რა ყოფილა ყმაწვილობა! როცა დრო მოახლოვდა ჩვენი განშორებისა, სრულად დამეგობრებულები ვიყავით.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ვა, არც კაცის-კვლა, არც ცარცვა და არც სხვა არ აკლია ჩვენს ოზურგეთს; ყოველნაირი უწესოების ბუდე გახლავს ეს პატარა ქალაქი. მხოლოდ ერთი რამ უწესოება აკლდა და ისიც ღვთისა და ბატონის წყალობით, ეხლა შემოიღეს. ეს უწესოებაა—დუელი. აქაურ მომრიგებელ მსაჯულს და გამომძიებელს ლაზათიანად გადაკვრის შემდეგ (ღამით) მოსვლიათ ლაპარაკი. ესენი არ დათანხმებიან ერთმანერთის აზრს (ქალებს შესახებ) და ბაასი ტყაპა-ტყუპზე შეუცვლიათ. დამარცხებულს გამომძიებელს ვერ აუტანია სირცხვილი და გამოუთხოვნია მსაჯული დუელში; დრო დაუნიშნავთ პირველი აგვისტო, დილის ექვს საათზე.

„მხოლოდ სირცხილისთვის სიმხთლეს უძლევია და გამომძიებელს, როგორათაც იყო გაუგებინებია მაზრის უფროსისთვის წინა დღით. ამას ეს საქმე მიუნდვია პრისტავისთვინ გამოსაძიებლათ, რომელშიაც ვითომც აწყენინა ამ საქმეზე ერთს კნიაზს ვ. ამან მიჰმართა მაზრის უფროს და გვარიანად წალაპარაკებულან—როგორ გამიბედეო ჩემს სახლში ამბის საკითხავად პრისტავის გამოგზავნაო.—ცრუმეტყველნი ამბობენ, ვითომც ამათაც გაუმართავთ კრივი მედუელების სადღეგრძელოთ. ეხლა პასუხისგებაში მიუციათ პრისტავი — თუ მართლა რითმე აწყენია ბატონს ვ—ს და უქადიან საცოდავს ადგილის დაკარგვას. „აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გაიჭყლიტაო! სწორეთ ეს არის.“

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! მე წავიკითხე თქვენს გაზეთს „დროებაში“ სტატია ერთის აქაურის კორრესპოდენტისა, რომელიცა უწოდებს თავსა თვისსა „ვაშლი ჯვარელს ჩადრად.“ სტატია, ესე შეეხების ვარძიის ძველს სახინო მონასტერს. ხსენებულს სტატიაში კორესპოდენტს გამოუხატავს ვითომც ვარძიის წინამძღვრის ანგარებითი მოქმედეაა, რომელიც ყოვლად თურთ არს ცილის წამება და სიცრუე: ამისგამო ვსაჭიროებ მოკლედ აგიხსნათ გარემოება ამ საქმისა:

ვარძია, თქვენ უეჭველად უწყით „ქართლის ცხოვრებიდამ“ და ჩემის მოკლე სტატიიდამაცა, მე-XII საუკუნეში არის ნეტარხსენებულთ საქართველოს მეფის გიორგის და დედოფლის თამარისაგან დამყარებელი. ამა მონასტერსა შინა განსაცვიფრელის ხელოვნებით არის კლდისაგან გამოკვეთილნი უმეტეს სამასის სენაკისა, თვით ეკკლესია, რომელშიაც დღემდინ იქონიების სადედოფლოის თამარისა, მუნვე არს წყარო ყოვლითურთ დამაკმაყოფილებელი მლოცველთა და ძმათა მონასტრისათა, დიდის შრომით სალის კლდეში გამოყვანილი, რომელსა ეწოდების „ცრემლის წყარო“.

წმიდა ესე სავანე, ვიდრე XVII-ს საუკუნამდი, ბრწყინვიდა დიდის კრებულით კმაყოფილები მეფის გიორგის, დედოფლის თამრის და ათაბეგთაგან ბოძებულის მოწყალებითა; ხოლო მოხსენებულს საუკუნეში მოოხრებულ არს ოსმალთაგან და მოწევნილ დაცემაში.

რუსეთის ხელმწიფეთა ხელში მონასტერი ისე ვარძიისა, დაცემული და დამდაბლებული, იწყებს აღდგინებასა მოწყალებითა საქართველოს ნამესტნიკისა და სხვათა ღვთის-მოყვარეთა, და დღითი-დღე მოდის წესში, ესე იგი კეთდება გზა, ხიდი, სენაკები,

ჯერ-ჯერობით ძმანი სცხოვრობენ ქვეყნის წყალობით. აწინდელი წინამძღვარი მამა მარტირი, გამოცდილი ხელოვანი არ ზოგამს თვის შრომას და იმედია, მონასტერი მონასტერი მოიყვანოს კარგს მდგომარეობაში. აქვს მას ბოძებული კონდაკი საქართველოს ექსარხოსისაგან შთასაწერად შეწირულებისა, რომელსა შინა არს აღწერილნი დიდი მთავარნი: მიხაილ ნიკოლაოსის ძე, ნიკოლაოს და მიხაილ მიხაილის ძენი, გულის წმიდით მბოძებელნი წყალობისა; ესე ვითარსა ღვთის-სათნოთა მოწყალებათა, უეჭველია, მიჰბაძვენ სხვანიცა კეთილ-მსახურნი პირნი და დასდებენ მწვლილსა თვისსა საუნჯესა შინა მოუკლებელსა.

რა ვყო, ბატონო რადაქტორო! ვინც თქვენ „დროებას“ წარიკითხავს, უეჭველად, დაბრკოლდება ქველის საქმის მიღებაზედ სასარგებლოდ ვარძიის მონასტრისა და, უეჭველია, იფიქრებს, რომ ვითომც ვარძიის ბერები ბოროტად ხმარობდენ ამ გვარს მოწყალებას. აბა იფიქრეთ—თუ სატანა ვითარი ღონე მოუგონებია არიოზის მებრ (?) დასაბრკოლებელად ღვთის სათნოს საქმისა, როგორც ვაშლი ჯვრელი ჩუდარი, რომელსაც, უკეთუ ხელთ მიგდებით, ვეცდები ძალითა ღირსათ და და კეთილია კანონითა, ვაჭამო ნაცვლად უსულადო ხორცისა, ახალციხის ტკბილი ვაშლი და მსხალი.

დასასრულ უმორჩილესად გთხოვ, რედაქტორო! ამ უნდო ბარათსა მისცეთ ადგილი თქვენს ჟურნალში, რათამცა ღვთის-მოყვარენი მკითხველნი არ შებრკოლდენ ყურადღებასა ზედა ვარძიის მონასტრისადმი და რათამცა სახინო ესე სავანე გაბრწყინვებულ იქმნეს ნუგეშად აქაურთა მმართ-მადიდებელი ქრისტიანეთა.

დეკანოზი გიორგი გამრეკელოვი.
28 ივლისს, ახალციხე.

# განცხადებანი

ჯანჯულაზოვების დიდს მაღაზიაში საქონლის გასყიდვა კიდევ არ გათავებულა; მუდამ დღე არის ვაჭრობა დილის 9 საათიდამ ვიდრე 12-მდინ, თვითონ მაღაზიაში და იმის ეზოში, მუხრანსკის სახლებში.

(4—1)

## კანტორა

„ცხენის გადასახადის მოკრეფისა“ ამ აგვისტოს 5-ს გადადის ახალ სახლში, ჩუღურეთში, სასწორის პირდაპირ მოედანზე, რომელზედაც სამი ქუჩა გამოდის: ნიკოლაევისა, არსენალისა და მესამე სამხედრო კლუბის მხრივ. სახლი № 3, აბრაამოვისა.

(3—1)

## პატენტიანი შჩოტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისთვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; მოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—33)

## შენიშნვა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.
თმის გასამაგრებელი
მაკ - მასტერი
ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო ინგლისის მაღაზიაში ეს წამალი ხლა 2 მაეთად ღირს.

(100—23)

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ-[illegible] ვაჭრობის სახლებთან [illegible] ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვაძლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

# სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIÉNNES*'-ის

ფირმით

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედეულობთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, აველჟეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

## ერთის წლის ანგარიში
## ყვარლის გამსესხებელ - შემნახველის ამხანაგობისა

1879 წლისა 1-ს იანვარს 1879 წლისს იყო:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1,147—36. | გასესხებული — — | 4,173— „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 3,224— „ | დაშთენილი: | |
| სათადარიგო თანხა — | 215—60. | ნაღდი ფული — — — | 570— 7. |
| წმინდა მოგება — — | 156—11. | | |
| სულ — | 4,743— 7. | სულ — | 4,743— 7. |

1879 წელში

| შემოვიდა. | | გავიდა. | |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 413—21. | წილის ფული — — | 96—27. |
| სარგებელი აღებული გასესხების დროს— — | 381—24. | მოგება წილზედ 1878 წ. | 16— „ |
| ჯარიმა — — — — | 55—61. | გასესხებული ფული — | 3,228—20. |
| დაბრუნებული ნასესხი ფული — — — — | 2,434—80. | მმართებლობაზედ — — | 65—88. |
| სათადარიგო თანხა — | 18—67. | აღებ-მიცემისა — — | 94—43. |
| სულ — | 3,303—53. | სულ — | 3,500—78. |

იანვრისათვის 1880 წლის არის:

| | | | |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1,464—30. | გასესხებული ფული — | 4,966—40. |
| სასარგებლოდ შემოტანილი ფული — — | 3,224— „ | დაშთენილი: | |
| სათადარიგო თანხა — | 234—27. | ნაღდი ფული — — | 372—82 |
| წმინდა მოგება — — | 416—65. | | |
| სულ — | 5,339—22 | სულ — | 5,339—22 |

გამგებელნი: მიხეილ მელიქოვი
ნიკოლოზ მირზიკა შვილი
დავით რუსია-შვილი.

(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 4 Августа 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი